



სამხედრო ჰუმანიტარული ინტერვენცია და სახელმწიფო ინტერესები

თათია მაისურაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების
ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა: პოლიტიკის მეცნიერებები (საერთაშორისო
ურთიერთობები, ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები,
საბჭოთა კვლევები)

მიმართულება: საერთაშორისო ურთიერთობები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი გვალია, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

თათია მათისურაძე

29.01.2021

სარჩევი

აბსტრაქტი.....	4
Abstract.....	6
შესავალი	7
კვლევის მეთოდოლოგია.....	12
ჰუმანიტარული ინტერვენცია და საერთაშორისო სამართალი	14
საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები და ჰუმანიტარული ინტერვენცია	17
რუანდის ქეისი.....	24
ლიბიის ქეისი	30
როჰინჯიელი მუსლიმების ქეისი	37
აღმოსავლეთ ტიმორის ქეისი	44
ჰუმანიტარული ინტერვენცია: ადამიანის უფლებები თუ სტრატეგიული ინტერესები?!	
.....	50
დასკვნა	52
გამოყენებული ლიტერატურა	54

აბსტრაქტი

ჰუმანიტარული კატასტროფები და საერთაშორისო საზოგადოების რეაგირება ადამიანის უფლებების მასობრივ დარღვევებზე არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკამათო საკითხი, როგორც საერთაშორისო საზოგადოებისათვის, ისე აკადემიური წრებისათვის.

მას შემდეგ, რაც ადამიანის უფლებები უნივერსალური ღირებულება გახდა, სახელმწიფოებს გაუჩნდათ ვალდებულება და პასუხიმგებლობა, რომ ადამიანები დაიცვან კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებებისაგან, რამაც თავის მხრივ, გააჩინა ჰუმანიტარული ინტერვენციისა და Responsibility to Protect პრინციპები, რომლის საფუძველზეც სახელმწიფოებს შეუძლიათ სხვა ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევა და სამხედრო ძალის გამოყენება.

კვლევა შეისწავლის ჰუმანიტარული ინტერვენციისა და სახელმწიფო ინტერესის ურთიერთმიმართების საკითხს. კერძოდ, რა ზეგავლენას ახდენს სახელმწიფო ინტერესი სამხედრო ჰუმანიტარული ინტერვენციის განხორციელების საკითხზე.

ნაშრომში საკვლევ კითხვებზე საპასუხოდ და ჰიპოთეზის გადასამოწმებლად, განხილულია სხვადასხვა ჰუმანიტარული კრიზისების მაგალითები, როგორცაა: რუანდის გენოციდი, ლიბიისა და აღმოსავლეთ ტიმორის ინტერვენცია და როჰინჯიელი მუსლიმების გენოციდი. შემთხვევების ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია, რა შემთხვევაში ახორციელებენ სახელმწიფოები სამხედრო ჰუმანიტარულ ინტერვენციას და რა უფრო მნიშვნელოვანია სახელმწიფოებისათვის: ადამიანის უფლებების დაცვა თუ ეროვნული ინტერესები.

კვლევის შედეგების მიხედვით, სახელმწიფოებისათვის უმთავრესი არა ჰუმანიტარული მიზნების მიღწევა და ადამიანის უფლებების დაცვაა, არამედ მათი სტრატეგიული ინტერესებია.

საკვანძო სიტყვები: ჰუმანიტარული ინტერვენცია, სახელმწიფო ინტერესი
ჰუმანიტარული კრიზისი, გენოციდი, ეთნიკური წმენდა, კაცობრიობის წინაშე
მიმართული დადანაშაულებები.

Abstract

Humanitarian catastrophes and a response from international community to massive violations of human rights is one of the most debated topic among international society and academic circles.

Since human rights have become universal values, obligations and responsibilities for states have emerged to protect people from crimes against humanity-upon to which arose principle of humanitarian intervention and the responsibility to protect (RtoP), on the bases of which states can intervene in the internal affairs of another state and use military force.

Following research explores relationship between military humanitarian intervention and national interest of state. Namely, it analyzes the role of states' interest in carrying out humanitarian intervention.

To answer the research question and verify the hypothesis, different cases of humanitarian crises are discussed in the work, namely: Rwanda Genocide, interventions in Libya and East Timor, genocide of Rohingya Muslims. Based on the analyses of these cases, the study explores which goals of humanitarian intervention are more important to states: human rights protection or their strategic interests.

The study demonstrates that while deciding on humanitarian intervention states usually act based on their own strategic interests rather than some cosmopolitan or humanitarian ends.

Keywords: Humanitarian Intervention, national interest, humanitarian crisis, genocide, ethnic cleansing, crimes against humanity.